კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღები საგამოცდო და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

1. სპეციალობაში გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. აპლიკანტს საკითხების ნუსხიდან მიეცემა 4 საკითხი. თითოეული საკითხის „წონაა“ 25 ქულა. შესაბამისად, სპეციალობაში გამოცდის საფუძველზე სტუდენტი დააგროვებს მაქსიმუმ 100 ქულას.

თითოეულ საკითხში ქულების განაწილება ხდება შემდეგნაირად:

1.1. საკითხის ცოდნა და ანალიზი (20 ქულა)

- პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან/და პასუხი არ არის წარმოდგენილი (0 ქულა)
- საკითხში ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა და ანალიზი (1-5 ქულა)
- საკითხში ნაწილობრივ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი (6-10 ქულა)
- საკითხში ძირითადად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა, მეტწილად გაანალიზებულია საკითხი (11-15 ქულა)
- საკითხში მკაფიოდ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის სრულყოფილი ციდნა და ამომწურავად არის საკითხი გაანალიზებული (16-20 ქულა)

1.2. აკადემიური წერის კულტურა (5 ქულა)

- აკადემიური სტილი (0-1 ქულა)
- აკადემიური სტილი ნაკლებად გამართულია (2 ქულა)
- აკადემიური სტილი ნაწილობრივ გამართულია (3 ქულა)
- აკადემიური სტილი მეტწილად გამართულია (4 ქულა)
- აკადემიური სტილი სრულიად გამართულია (5 ქულა)

2. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

გასაუბრება (რომლის „წონაა“ 100 ქულა) შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. სტუდენტის მოტივაცია 50 ქულა

- ✓ სტუდენტის მოტივაცია სრულიად თანხვედრაშია კონფლიქტოლოგიის პროგრამის მიზნებთან (41-50 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია მეტწილად თანხვედრაშია კონფლიქტოლოგიის პროგრამის მიზნებთან (31-40 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაწილობრივ თანხვედრაშია კონფლიქტოლოგიის პროგრამის მიზნებთან (21-30 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაკლებად თანხვედრაშია კონფლიქტოლოგიის პროგრამის მიზნებთან (11-20 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია არ შეესაბამება კონფლიქტოლოგიის პროგრამის მიზნებს (0-10 ქულა)

2.2. ინგლისური ენის კომპეტენცია (50 ქულა)

ზეპირი გასაუბრება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ფასდება აპლიკანტის ენობრივი კომპეტენცია ზოგადი ტიპის შეკითხვებით, აპლიკანტი ვალდებულია უპასუხოს გამსაუბრებლის 5 შეკითხვას. თითოეული შეკითხვაზე პასუხი ფასდება 6 ქულით. ჯამში - 30 ქულა. მეორე ნაწილში მოიაზრებს ტექსტის თარგმანს.

ზეპირი გასაუბრება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ფასდება აპლიკანტის ენობრივი კომპეტენცია ზოგადი ტიპის შეკითხვებით, აპლიკანტი ვალდებულია უპასუხოს გამსაუბრებლის 5 შეკითხვას. თითოეული შეკითხვაზე პასუხი ფასდება 6 ქულით. ჯამში - 30 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები:

პასუხის გრამატიკული გამართულობა - 3 ქულა;
პასუხის ლექსიკური გამართულობა - 3 ქულა;
შეფასების რუბრიკა:
3 ქულა - ზედმიწევდით და სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან;
2 ქულა - ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს;
1 ქულა - ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებსლ
0 ქულა - არ შეესაბამება მოთხოვნებს.

უცხო ენაში გასაუბრებისას სტუდენტებს მიეწოდებათ სპეციალობის რომელიმე საკითხის ინგლისურენოვანი ტექსტი (კომპონენტი ფასდება 20 ქულით). შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

- ✓ ტექსტის თარგმანი სრულიად გამართულია (16-20 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი მეტწილად გამართულია (11-15 ქულა)

- ✓ ტექსტის თარგმანი ნაწილობრივ გამართულია (6 -10 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი ნაკლებად გამართულია (1-5 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი გაუმართავია (0 ქულა)

საბოლოო ჯამში, სტუდენტი. გამოცდის და გასაუბრების კომპონენტების საფუძველზე, შეფასდება 100 ქულიან სკალაზე, რომელზეც წერითი გამოცდის შედეგებს ექნება 60%-იანი ფარდობითი წილი, ხოლო გასაუბრების შედეგებს - 40%-იანი ფარდობითი წილი